

შპს „აბრუ ჰოტელს“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2025

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ძირითადი ინფორმაცია	6
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	6
3. მომზადების საფუძველი	7
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	8
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	13
7. მარაგები	13
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
9. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	14
10. საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	15
11. მოკლევადიანი სესხები	15
12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
13. შემოსავალი რეალიზაციიდან	16
14. რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	16
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	17
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	17
18. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	19
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

შპს „აბრუ ჰოტელს“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16 885	9 079	19 975	5
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან	59 286	29 664	10 128	6
მარაგები	22 626	34 333	43 106	7
გადახდილი ავანსები	302	1 138	2 508	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	10 859	15 006	80	10
სხვა მოკლევადიანი აქტივები	33 899	3 540	4 754	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	143 858	92 760	80 551	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	4 481 278	4 706 653	4 945 703	8
გრძელვადიანი ინვესტიციები	-	-	-	
გრძელვადიანი აქტივები სულ:	4 481 278	4 706 653	4 945 703	
აქტივები სულ:	4 625 136	4 799 412	5 026 254	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	214 925	205 222	160 789	9
საგადასახადო ვალდებულებები	52 089	25 263	28 312	10
მოკლევადიანი სესხები	163 847	146 552	21 151	11
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	36 433	14 870	9 668	12
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	467 294	391 907	219 920	
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	7 555 421	7 464 096	7 211 909	
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	(3 397 579)	(3 056 591)	(2 405 574)	
სხვა რეზერვები	-	-	-	
კაპიტალი სულ:	4 157 842	4 407 505	4 806 335	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	4 625 136	4 799 412	5 026 254	

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ ჩახნაშვილი

ფინანსური დირექტორი -----

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აბრუ ჰოტელს“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
შემოსავალი რეალიზაციიდან	1 138 077	707 846	13
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	(657 780)	(447 541)	14
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	480 297	260 304	
მიწოდების ხარჯები	(29 524)	(38 108)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(414 620)	(500 666)	15
სხვა საოპერაციო ხარჯები	(358 422)	(378 076)	16
ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	(322 269)	(656 545)	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(148)	434	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(18 572)	5 095	
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(340 989)	(651 016)	
მოგების გადასახადი	-	-	
წლის წმინდა მოგება	(340 989)	(651 016)	
წლის სრული შემოსავალი	(340 989)	(651 016)	

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ ჩახნაშვილი

ფინანსური დირექტორი -----

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აბრუ პოტელს“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	დაგროვილი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022-თვის	7 211 909	-	(2 405 574)	4 806 335
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		-	(651 016)	(651 016)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	7 211 909	-	(3 056 590)	4 155 319
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	252 187			
განაწილებული დივიდენდები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-თვის	7 464 096	-	(3 056 590)	4 407 506
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	(340 989)	(340 989)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	7 464 096	-	(3 397 579)	4 066 517
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში	91 325		-	3 725 528
განაწილებული დივიდენდები	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2024-თვის	7 555 421	-	(3 397 579)	4 157 842

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თამარ ჩახუნაშვილი

ფინანსური დირექტორი -----

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 19-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „აბრუ ჰოტელს“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულ იქნა 1995 წლის 19 დეკემბერს ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 203834921. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩა #49. კომპანიის ერთპიროვნული ხელმძღვანელია თამარ ჩახნაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრე, 100% წილის მფლობელი არის შპს პარკ ჰოტელი (ს/ნ 405030327).

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის

შპს „აბრუ პოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

მსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად, საწარმოს მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება სულ მცირე უნდა მოიცავდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ამასთან, საწარმოს შეუძლია ფულადი ნაკადების ანგარიშგების ნებაყოფლობით წარდგენა. კომპანია იყენებს აღნიშნულ შედავას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

შპს „აბრუ პოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2021, 2022 და 2023 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ლარი / 1 USD	2.6894	2.7020	3.0976
ლარი / 1 EUR	2.9753	2.8844	3.5040

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს, ფინანსურ შემოსავლებში ასევე აღიარებულია მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ თანხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლები.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე.

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2023-2024 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2023-2024 წლებში გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

2024 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შპს „აბრუ პოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შენობა-ნაგებობები	2 %
მანქანა-დანადგარები	14-20 %
ავეჯი და ინვენტარი	14-50 %
კომპიუტერული ტექნიკა	20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	10-20 %

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის შემცირებად ნაშთთა მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ძირითადი საშუალებების შემენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული კომპანიის სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ი) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო

შპს „აბრუ ჰოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

კ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ლ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შპს „აბრე პოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული სალაროში	3 703	4 053
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	13 183	5 026
	16 885	9 079

6. დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	62 512	32 890
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(3 226)	(3 226)
	59 286	29 664

კომპანიის დებიტორული დავალიანება წარმოშობილია მისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში გაწეული მომსახურების შედეგად.

7. მარაგები

კომპანიის სასაქონლო - მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება კვების პროდუქტებისა და სხვა სასაქონლო მარაგებისაგან რომლებიც განკუთვნილია სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების შესრულებისათვის.

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

შპს „აბრეჟოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სხვა	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 857 228	142 057	79 243	363 655	216 014	15 436	7 673 634
დამატება (გასვლა)	-	13 479	3 945	7 581	5 229	-	30 233
	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 857 228	155 536	83 188	371 236	221 243	15 436	7 703 867
დამატება (გასვლა)	-	-	-	26 779	-	-	26 779
	-	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 857 228	155 536	83 188	398 014	221 243	15 436	7 730 646
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 348 544	71 047	19 836	152 108	120 961	15 436	2 727 931
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	129 811	19 439	15 285	85 600	19 149	-	269 283
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 478 354	90 486	35 120	237 707	140 110	15 436	2 997 215
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	129 811	19 907	14 286	68 554	19 596	-	252 154
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 608 165	110 393	49 406	306 261	159 706	15 436	3 249 368
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 249 063	45 143	33 781	91 753	61 537	-	4 481 278
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 378 874	65 050	48 067	133 528	81 133	-	4 706 653
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4 508 685	71 010	59 407	211 548	95 053	-	4 945 703

9. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2024	31.12.2023
კრედიტორული დავალიანება	(214 925)	(205 222)
	(214 925)	(205 222)

10. საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები

შპს „აბრუ პოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელი იყო სხვადასხვა გადასახადების გადახურვა, თუ ერთ გადასახადში კომპანიას ავანსად გადახდა უფიქსირდებოდა, ხოლო მეორე გადასახადში დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ოთხი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი და მოგების გადასახადი.

	31.12.2024	31.12.2023
საანგარიშო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	(51 819)	(23 769)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10 589	13 512
	<u>(41 230)</u>	<u>(10 257)</u>

11. მოკლევადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023
სესხები იურიდიული პირების მიმართ	(125 500)	(125 500)
გადასახდელი პროცენტები	(38 347)	(21 052)
	<u>(163 847)</u>	<u>(146 552)</u>

შპს „აბრეჟოტელს“

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(8 339)	(1 390)
მიღებული ავანსები	(0)	(9 794)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	(28 094)	(3 686)
	<u>(36 433)</u>	<u>(14 870)</u>

13. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	787 845	395 218
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	145 739	110 102
შემოსავალი საკონფერენციო დარბაზით მომსახურებიდან	192 388	177 512
შემოსავალი მომსახურებებიდან	12 105	25 013
	<u>1 138 077</u>	<u>707 846</u>

14. რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
სასაქონლო მარაგები	(127 607)	(82 964)
თანამშრომელთა ანაზღაურება	(357 914)	(267 684)
სხვა	(172 259)	(96 893)
	<u>(657 780)</u>	<u>(447 541)</u>

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასის ხარჯი	(265 498)	(305 531)
იჯარის ხარჯი	(2 076)	(40 364)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(6 448)	(19 590)
საკონსულტაციო ხარჯები	(21 600)	(21 600)
საგადასახადო ხარჯები	(44 567)	(44 325)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(11 547)	(7 781)
დასუფთავებისა და გამწვანების ხარჯი	(19 200)	(20 196)
რემონტისა და სამეურნეო ხარჯები	(16 724)	(16 677)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(26 960)	(24 602)
	(414 620)	(500 666)

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ცვეთა და ამორტიზაცია	(252 154)	(269 283)
კომუნიკაციის ხარჯები	(8 693)	(20 460)
კომუნალური ხარჯი	(97 576)	(88 332)
	(358 422)	(378 076)

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

18. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისებრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მართალია, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წინააღმდეგ არ მიმდინარეობდა სასამართლო დავები. ამავე დროს კომპანია ამ პერიოდისათვის არ აწარმოებდა სასამართლო დავებს მეორე მხრის წინააღმდეგ.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.